N 156
14/02/2023

156-01-3-202302141429

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს
ბატონ ლევან გამყრელიძეს

ამავე სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული
დეპარტამენტის უფროსის ვახტანგ გარდაფხაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდიანრე წლის 9 თებერვალს ჩატარდა ტრასეკას ეროვნული მდივნების შეხვედრა, ხოლო 10 თებერვალს - ტრასეკას მინისტერიალი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის 6 თებერვლის №17/822 წერილის თანახმად, სააგენტოს ეთხოვა მონაწილეობის მიღება შემდეგი ხარჯების ანაზღაურებაში:

- მ.წ. 9 თებერვალს ტრასეკას ეროვნული მდივნების შეხვედრის ფარგლებში, რესტორან ,,რესპუბლიკა"-ში დაგეგმილი მიღების/ვახშმის (თანმდევი ხარჯებით) და ასევე სასტუმრო ,,რედისონ ბლუ ივერია"-ში ყავაზე შესვენების და სადილის მომწყობის მომსახურების ხარჯები.
- მ.წ. 10 თებერვალს მინისტერიალის ფარგლებში სასტუმრო ,,რედისონ ბლუ ივერია"-ში დაგეგმილი ყავაზე შესვენების და სადილის მომწყობის მომსახურების ხარჯები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/584 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს მ) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მოგმართვათ თხოვნით დაევალოს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, მოხსენებით ბარათზე თანდართული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, გადარიცხვასთან დაკავშირებული შემდგომი რეაგირების განხორციელება.

დანართი: 2 ელ. ფაილი.

პატივისცემით

ვახტანგ გარდაფხაძე

LEPL Land transport agency

Digitally signed by LEPL Land transport agency
Date: 2023.02.15 12:07:52 +04'00'